#010332218900018881

1213396448636

საქმე N სსდ-12-18 **14 იანვარი, 2019 წელი**
ქ. თბილისი

საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:
მაია ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მოსამართლეები ნუგზარ სხირტლაძე,
ვასილ როინიშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ადვოკატ თ. ჯ-ს საჩივრის დასაშვებობის საკითხი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებაზე.

სადისციპლინო პალატამ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გამოარკვია:

2018 წლის 5 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მისაღებში შემოვიდა ადვოკატ თ. ჯ-ს. საჩივარი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებაზე, რომელიც სადისციპლინო პალატას გადმოეცა იმავე დღეს. სადისციპლინო პალატის Nსსდ-07-18 მიმართვის საფუძველზე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან 2019 წლის 3 იანვარს გადმოგზავნილ იქნა ადვოკატ თ. ჯ-ს. დისციპლინური საქმის მასალები.

სადისციპლინო პალატა ადვოკატ თ. ჯ-ს. საჩივრის გაცნობის შედეგად

მიიჩნევს, რომ საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადვოკატს შეუძლია ადვოკატისათვის სადისციპლინო სახდელის დადების შესახებ საქართველოს ადვოკათა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება მისთვის გადაცემიდან 1 თვის ვადაში გაასაჩივროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად კი ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. ამავე კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, თუ როდის ჩაითვლება უწყება ჩაბარებულად მხარეებისა და მათი წარმომადგენლებისათვის, კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. ხოლო 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს.

საქმეში არსებული სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის №077/16 მომართვისა და საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ დასტურებიდან ირკვევა, რომ ადვოკატ თ. ჯ-ს. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივნისის დასაბუთებული გადაწყვეტილება გაეგზავნა 2018 წლის 26 ოქტომბერს, რომელიც ვერ ჩაჰბარდა და 29 ოქტომბერს უკან დაბრუნდა (ს.ფ 132,) რის შემდეგაც ეთიკის კომისიის აპარატმა ადვოკატთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, შეთანხმების საფუძველზე, გადაწყვეტილება გაუგზავნა მას იმავე მისამართზე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კურიერის მეშვეობით, რომელიც 2018 წლის 30 ოქტომბერს ჩაჰბარდა ადვოკატ თ. ჯ-ს. ოჯახის წევრს, დედამთილს, ნ. ჭ-ს. (ს.ფ133). მან კი აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა 2018 წლის 4 დეკემბერს, ე.ი. „ადვოკატთა შესახებ “ კანონის 35[1] მუხლის პირველ ნაწილით დადგენილი ერთთვიანი ვადის გადაცილებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატ თ. ჯ-ს. საჩივრის შეტანის ვადა ჰქონდა 2018 წლის 30 ნოემბრის ოცდაოთხ საათამდე, რომელიც ოყო სამუშაო დღე -

პარასკევი, ხოლო საჩივრის ავტორის მიერ საჩივარი შეტანილ იქნა 2018 წლის 4 დეკემბერს, რაც საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თ. ჯ-ს. საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოები შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{54}-ე, მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით, 75^{56}-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ადვოკატ თ. ჯ-ს. საჩივარი დატოვებულ იქნეს განუხილველად;
2. განჩინების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **მ. ვაჩაძე**

მოსამართლეები: **ნ. სხირტლაძე**

ვ. როინიშვილი